აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ. აბაშა, 2024 წლის 30 იანვარი.

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა (ქ. აბაშა, უ. კაჭარავას №1).

სხდომას თავმჯდომარეობდა: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დ. ცანავა.
სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ზეზვა მაკალათია,მურთაზ ჯალაღონია, იაგო თოდუა, დიმიტრი ვერულაშვილი, დავით კაჭარავა.
სხდომას არ ესწრებოდა კოკი ჩაჩავა:

დღის წესრიგი:

მომხსენებელმა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომაზე განსახილველი საკითხი:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობის გაზრდის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

   მომხს: დ. ცანავა

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს :

1. აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობის გაზრდის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

   მომხს:დ. ცანავა

აზრი გამოთქვეს: დ.ვერულაშვილმა , ი.თოდუამ, დ.კაჭარავამ,ზ.მაკალათიამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -6; წინააღმდეგი -0) .

აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

დაადგინა:

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი 52-ე მუხლისა და 180-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3, მე-4 პუნქტების და ,,საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობის გაზრდის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოწურულ იქნა და კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა .

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

თავმჯდომარე: დ.ცანავა.